



სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია

დანართი № 5

პრაქტიკული შენიშვნები და განმარტებები სანქციებისას

1. პრაქტიკული განმარტება - გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი.

თამაშის კონკრეტული წესის დარღვევის შემთხვევაში სადისციპლინო კომისიას მოეთხოვება მოთამაშის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმის შეფასება. შეფასებისას ერთერთ მთავარ მოცემულობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, დარღვევა იყო შეგნებული/წინასწარ განზრახული თუ გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი, რადგან დარღვევის უნებლიე/შემთხვევითად შეფასების შემთხვევაში შემდგომი სანქცირება არ განიხილება. მსოფლიო რაგბის მე-17 რეგულაციაში ტერმინი გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი განმარტებულია, როგორც: იცოდა თუ არა მოთამაშემ (ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას), რომ არსებობდა თამაშის წესების დარღვევის რისკი.

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები, მსოფლიო რაგბის მე-17 რეგულაციის თანახმად, ანალოგიურად ახდენს მოთამაშის მიერ თამაშის წესების დარღვევის შეფასებას (გარდა უნებლიე/შემთხვევითი-სა), რათა უზრუნველყოს მოთამაშეთა უსაფრთხოება და ტრავმების თავიდან აცილება, როგორც უმნიშვნელოვანესი პრინციპი, დინამიკურ, ფიზიკურ და კონტაქტურ სპორტში.

მოთამაშეებს ეკისრებათ ვალდებულება, არ მიაყენონ ტრავმა მოწინააღმდეგეს, ამიტომ არსებობს პრეზუმფცია, რომ ნებისმიერი საქციელი რომელიც აღწერილია მსოფლიო რაგბის თამაშის წესების მე-9 წესში, ექვემდებარება სანქცირებას.

მოთამაშე მოქმედებს გაუფრთხილებლად/წინდაუხედავად, თუ ქმედების წინ არ ითვალისწინებს, რომ არსებობს თამაშის წესების დარღვევის ალბათობა ან აცნობიერებს რა რისკის არსებობას, მაინც მოქმედებს.

მაგალითად, როდესაც მოთამაშე გადაწყვეტს შებოჭოს მოწინააღმდეგე მკერდის არეში, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოწინააღმდეგე ბოჭვის თავიდან აცილების მიზნით მკვეთრად შეიცვლის სიმაღლეს(მოიხრება) და მოხდეს კონტაქტი ყელის/კისრის ან თავის არეში, რაც თამაშის წესების უხეში დარღვევაა და შეფასდება როგორც გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი.



2. დარღვევის სიმძიმის შეფასება - ზედა ზღვარი.

ზედა ზღვარის მინიჭებისას სადისციპლინო კომისია საწყის სანქციად ირჩევს სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ში და დანართი # 4-ში, ზედა ზღვარსა და მაქსიმალური სანქციების შორის.

სადისციპლინო კომისია დაღვევის სიმძიმის ზედა ზღვარი-თ შეფასების შემთხვევაში ეყრდნობა შემდეგ მოცემულობებს :

ა) ქმედება იყო შეგნებული/წინასწარ განზრახული - ეს ნიშნავს, რომ მოთამაშემ წინასწარ განიზრახა მოწინააღმდეგისთვის ტრავმის მიყენება და შეასრულა ეს ქმედება. თამშის წესების დამრღვევ მოთამაშეს დროის იმ მონაკვეთში, დაშორების მანძილიდან გამომდინარე გააჩნდა წინასწარი განსჯის უნარი და მკაფიოდ ხედავდა მოწინააღმდეგეს.

ბ) მიყენებული ტრავმის სიმძიმე - ტრავმის სიმძიმის შეფასების განმსაზღვრელი ფაქტორებია:

- დაზარალებულ მოთამაშეს არ დასჭირდა ექიმის დახმარება ისე განაგრძო თამაში.
- დაზარალებულ მოთამაშეს მინდორზე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და განაგრძო თამაში.
- დაზარალებულმა მოთამაშემ სამედიცინო დახმარების მიუხედავად ვეღარ გააგრძელა თამაში (მიიღო ტვინის შერყევა ან სხვა მძიმე დაზიანება), ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სამედიცინო პერსონალის/დაწესებულების წერილობითი დოკუმენტი დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის და მისთვის ფიზიკური აქტივობის შეზღუდვის პერიოდის შესახებ.